

ლადო პაპავა: ბინები კიდევ უფრო გაიფუტება

გაზეთი “ასავალ-დასავალი” – 9-15 თებერვალი, № 6, 2009

საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. როგორც ნიკა გილაური ამბობს, მისი პრიორიტეტი ამ პოსტზე უმუშევრობასთან ბრძოლა იქნება. რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, შეძლებს თუ არა გილაური და მისი გუნდი ამ პრობლემებთან გამკლავებას? – ამ თემაზე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას ვესაუბრებით.

– ბატონო ლადო, რას იტყვით ახალი პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის შესახებ?

– თავის დროზე, აბსოლუტურად მოულოდნელი, თუმცა, მაინც პროგნოზირებადი იყო პრემიერ-მინისტრის პოსტზე ლადო გურგენიძის დანიშვნა, მოულოდნელი და არაპროგნოზირებადი იყო ამ თანამდებობაზე გრიგოლ მგალობლიშვილის კანდიდატურა. ნიკა გილაური კი ყველაზე ლოგიკური კანდიდატურაა. იგი რევოლუციურ მთავრობას პირველივე თაობიდან მოჰყვება, იცის მისი მუშაობის სტილი. ეს არის კაცი, რომელსაც სიღრმისეული პროცესები არ აინტერესებს, მორგებულია პიარზე, მაგრამ ხანდახან პიარშიც მოიკოჭლებს. გილაური არის კაცი, რომელსაც შეუძლია, დოკუმენტზე ილაპარაკოს ისე, რომ თავად წაკითხულიც არ ჰქონდეს. მაგალითად, 2007 წლის ბოლოს, როცა მან პარლამენტში 2008 წლის ბიუჯეტი განსახილველად გამოიტანა, ბიუჯეტის დასაბუთებაში ეწეოდა, რომ წინა წელს ინფლაცია გამოუწვევია ატამს, ხოლო პროცესი შეუფერხებია პომიდორს. დიახ, ეს ეწეოდა დოკუმენტის მეორე გვერდზე. მას ვკითხე ატამის როლის შესახებ საქართველოს ეკონომიკაში, მაგრამ ის ტრიბუნაზე ისე იდგა, რომ დოკუმენტი წაკითხული არც ჰქონდა. მთავრობის 2008 წლის ბოლო სხდომაზე კრიზისის დაძლევაზე ისაუბრა ისე, რომ არ იცოდა, რამდენია საარსებო მინიმუმი. გაგახსენებთ ერთ ფაქტსაც, როცა ნიკა გილაური ენერგეტიკის მინისტრი გახლდათ, ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მთავრობის სხდომაზე საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა. ეს გადაიცა ტელევიზიითაც, დაიწერა გაზეთებში, მაგრამ ამას ბატონი ნიკასთვის ხელი არ შეუშლია მთავრობაში „წარმატებულად“ გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა. ასე რომ, გილაური შესანიშნავი კანდიდატურაა ამ მთავრობისთვის,

ის არ იქნება ზედმეტად აქტიური, არ ჩაერევა ისეთ საკითხებში, რომლის უფლებასაც არ მისცემენ, არ იქნება კონფლიქტი, არ დაირხევა ხმა იმის შესახებ, რომ იგი ვიღაცამ სცემა ან ტელეფონი ესროლა. ერთ რამესაც უნდა გავუსვათ ხაზი, მგალობლიშვილის დანიშნისას ამბობდნენ, ის იმიტომ არის საჭირო, რომ მთავრობას ახალი სისხლი გადაესხასო. როგორც ჩანს, “ახალი სისხლის” თეორიას ყავლი გაუვიდა. უნდა ველოდოთ თუ არა გილაურისგან რაიმე ახალს? რა თქმა უნდა – არა! ის გააკეთებს იგივეს, რასაც ამ წლების განმავლობაში აკეთებდა.

– ბატონი პრეზიდენტი საქართველოს ეკონომიკაში დღეს არსებულ პრობლემებს მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს აბრალებს და ამბობს, რომ იმ დროს, როცა ბევრი ძლიერი სახელმწიფოს ეკონომიკა ჩამოიშალა, ჩვენ სტაბილურობას ვინარჩუნებთ.

– გასულ წლებში საქართველოში გაიზარდა საბანკო აქტიურობა. ბანკები დიდი ხალისით გასცემდნენ იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებს, მაგრამ არავის უკითხავს – ეს საკრედიტო რესურსი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ შექმნა? სამწუხაროდ, არა! უბრალოდ, ბანკები ევროპულ ბაზარზე ადვილად იღებდნენ იაფ საკრედიტო რესურსს და მას ქვეყნის შიგნით ორ ძირითად სფეროში ანთავსებდნენ. ერთი იყო სამშენებლო სფერო, ანუ იპოთეკური სესხები და მეორე სამომხმარებლო სფერო, რაც ძირითადად გამოიხატა უცხოეთიდან იმპორტირებული საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციაში. ქმნიდა კი ეს სტიმულს ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის? მშენებლობაში გარკვეულად ქმნიდა, მაგრამ თავად ჩვენი სამშენებლო კომპანიები არ იყვნენ მზად ასეთი საკრედიტო სტიმულირებისათვის. ისინი, პრაქტიკულად, ყიდდნენ ჰაერს – ჯერ პროექტი დაწვებულიც არ იყო და უკვე მეთერთმეტე სართული იყიდებოდა, სანამ მეთერთმეტე სართულამდე ავიდოდა მშენებლობა ან ფასები იცვლებოდა, ან ფული უკვე დახარჯული ჰქონდათ, ამიტომ მერე ახალი სახლის აშენებას იწყებდნენ. ამას ჰქვია ფინანსური პირამიდა, რომელიც აუცილებლად დაინგრევა. რაც შეეხება სამომხმარებლო სფეროს, ადამიანი როგორც კი შევიდოდა ტექნიკის მაღაზიაში, საკრედიტო ოფიცრები შემოეხვეოდნენ და განვადებას ან სესხს სთავაზობდნენ. იყო ეს ქართული ეკონომიკის წახალისება? არა! ეს ფინანსური ნაკადი არ ემსახურებოდა ქართული ეკონომიკის განვითარებას, ჩვენ ვაკრედიტებდით და ვახალისებდით უცხოეთის ეკონომიკას. ბუნებრივია, ეს ადრე თუ გვიან კრიზისამდე მიგვიყვანდა. გლობალურმა კრიზისმა მოვლენები დააჩქარა.

გაზაფხულზე ბანკებს აღებული საგარეო ვალების გასტუმრების დრო უდგებათ, რაც ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს ქვეყანაში აუცილებლად გამოიწვევდა საბანკო კრიზისს, რომ არა ის დახმარება, რომელიც ბრიუსელის კონფერენციაზე რუსეთის აგრესიის გამო საქართველოს გამოეყო. გაზაფხულზე სადღაც 800 მილიონზე მეტი შედარებით შეღავათიანი კრედიტი შემოდის საბანკო სექტორისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ბანკები საგარეო ვალს გადაიხდიან.

– ბატონო ლადო, უძრავ ქონებაზე ფასები საგრძნობლად დაეცა. როგორ გგონიათ, რამდენ ხანს შენარჩუნდება ეს ფასები ?

– ბინები კიდევ უფრო გაიფუტება. ფასები დაწეულია, მაგრამ ჯერ ბოლომდე არ არის გაიფუტებული. ფასები ხელოვნურად იყო გაბერილი და ეს გამოიწვია ხსენებულმა იაფმა კრედიტმა. ბევრს ვერ წარმოუდგენია, რომ ბინა, რომელაც გუშინ ძალიან ძვირად ყიდდა, დღეს ასე იაფად გაყიდოს, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ბევრი გამყიდველი საერთოდ უარს იტყვის გაყიდვაზე, მაგრამ მრავლად იქნებიან ისეთებიც, ვისაც ფული დასჭირდებათ და ბინების ძალიან იაფად გაყიდვა მოუწევთ.

– რა ელის ლარს და დოლარს?

– დოლარის ბედი წყდება ვაშინგტონში, სადაც საკმაოდ ენერგიული, მაღალი რანგის სპეციალისტებით დაკომპლექტებული და დიდი გამოცდილების მქონე ახალი ადმინისტრაცია მოვიდა. რაც შეეხება ლარს, თუ გავიხსენებთ იმას, რაც გასული წლის 7 ნოემბერს მოხდა, როცა ხელოვნურად შეუწყვეს ხელი ლარის კურსის ნახტომისებურ ვარდნას, საბანკო სექტორში პანიკა გამოიწვიეს და ამაზე პასუხი არავის მოეთხოვა, უფრო მეტიც, ეს დღემდე გაპიარებულია, როგორც კარგი ნაბიჯი, საკმაოდ დიდია ალბათობა იმისა, რომ ხელისუფლება ამას ისევ გაიმეორებს. თუმცა, ობიექტურად სავალუტო კრიზისის საშიშროება ქვეყანაში არ არის, იმიტომ რომ იმ თანხის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც დახმარების სახით უნდა შემოვიდეს, ეროვნული ბანკის რეზერვებში დაილექება.

ძალიან მაინტერესებს ერთი რამ: უკვე მე-17 თვეა, საქართველოს ეროვნულ ბანკს პრეზიდენტი არა ჰყავს და მოვალეობის შემსრულებელი მართავს. რა ხდება? იმ დროს, როცა ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველო დგას დიდი გამოწვევების წინაშე, როცა მსოფლიოში არის გლობალური ფინანსური კრიზისი, პირველი ძლიერი ინსტიტუტი, რომელიც ქვეყნის ფინანსურ სიმტკიცეს უნდა უზრუნველყოფდეს, ეს არის ეროვნული ბანკი. მართალია,

ლადო გურგენიძის დამსახურებით საქართველოს ეროვნული ბანკი ინსტიტუციონალურად დაიშალა და დასუსტდა, მაგრამ რაც დარჩა, იმას მაინც ხომ სჭირდება ხელმძღვანელი?

იცით, ოფიციალურად რამდენი დაფიქსირდა 2008 წლის წლიური ინფლაცია? ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად, საქართველოში წლიური ინფლაცია, თურმე, მხოლოდ 5,5 პროცენტია. არ მგონია, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ისეთი ატროფირებული ტვინი ჰქონდეთ, რომ ეს დაიჯერონ, ან შეიძლება, იმდენს ატყუებენ ხალხს და ერთმანეთს, რომ ბოლოს თავისი ტყუილების თავადაც სჯერათ.

– ასეთ პირობებში, როგორ გგონიათ, როდის შესრულდება დაპირება „საქართველო სიღარიბის გარეშე“?

– პირველივე საპროგრამო დოკუმენტში, რომლითაც მთავრობამ პარლამენტის ნდობა დაიმსახურა, ეწერა, რომ 5 წლის განმავლობაში საქართველოში სიღარიბე განახევრდება. სიღარიბის განახევრებასა და სიღარიბის გარეშე ყოფნას შორის, ცხადია, დიდი სხვაობაა. ასე რომ, ეს იყო ტყუილი, რომლის გასამართლებლად ახლა მშვენიერი საბუთი აქვთ – მსოფლიო ფინანსური კრიზისი!

ესაუბრა

თეა ასათიანი